პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიულ სტუდენტთა შეფასების პროცესის ადმინისტრირების შესახებ დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

წინამდებარე წესი განსაზღვრავს სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (შემდგომში - მოდულური პროგრამის) პროფესიულ სტუდენტთა შეფასების პროცესის ადმინისტრირების წესს.

მუხლი 2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა

1. ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შემთხვევაში, კოლეჯის დირექტორის მიერ დამტკიცებული ფორმებისა და მოდულის ჩარჩო დოკუმენტის მიხედვით კალენდარულ გეგმებსა და შეფასების ინსტრუმენტებს ადგენს პროფესიული განათლების მასწავლებელი.
2. შეფასების განხორციელებამდე 10 (ათი) სამუშაო დღით ადრე შეფასების ინსტრუმენტი გადის სავალდებულო ვერიფიკაციას ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ.
3. მოდულური პროგრამის პროფესიული სტუდენტის სწავლის შედეგების მიღწევების შეფასება არსებობს:
   ა) განმავითარებელი;
   ბ) განმსაზღვრელი.
4. განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპის გამოყენებით.
5. განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:
   ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;
   ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

მუხლი 3. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების პროცესის ადმინისტრირება

1. შეფასების მიმართულებები და შეფასების ინსტრუმენტების ალტერნატიული ჩამონათვალი მოცემულია შესაბამის მოდულში.
2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიულ სტუდენტს შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული სწავლის რომელიმე შედეგის დაუდასტურებლობის შემთხვევაში, შესაძლებლობა აქვს ამ მოდულზე (რომელიც არის სხვა მოდულის წინაპირობა) სწავლის დასრულებიდან 2 კვირის ვადაში განმეორებით დაადასტუროს შესაბამისი სწავლის შედეგი. აღნიშნულ ვადაში პროფესიული სტუდენტის მიერ 1 (ერთი) მცდელობის მიუხედავად მოდულის/სწავლის შესაბამისი შედეგის დაუდასტურებლობის ან გამოუცხადებლობის შემთხვევაში, მან შესაბამისი მოდული/სწავლის შედეგი უნდა გაიაროს ხელახლა.
3. თუ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი მოდული არ არის სხვა მოდულის წინაპირობა, აღნიშნული მოდულის/სწავლის შედეგის დაუდასტურებლობის ან გამოუცხადებლობის შემთხვევაში, პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს სწავლის შედეგი დაადასტუროს შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებამდე ერთჯერადად.
4. მოდულის სწავლის შედეგის დადასტურებამდე მოდულის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებელი სწავლის შედეგების დასადასტურებელ შეფასების ინსტრუმენტს შესათანხმებლად წარუდგენს ხარისხის მართვის მენეჯერს, სადაც გაწერილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი საფეხური/დონე, მოდულის დასახელება, სარეგისტრაციო ნომერი და კრედიტის ოდენობა, პროფესიული სტუდენტის სახელი გვარი და ჯგუფის ნომერი, სწავლის შედეგები, დადასტურების თარიღი, შეფასებისთვის განკუთვნილი დრო, შესრულების კრიტერიუმები, დავალების აღწერა (წერილობითი მოკლე აღწერა) თითოეული სწავლის შედეგისთვის, შეფასების მიმართულება, შეფასების ინსტრუმენტი, მტკიცებულება, სწავლის შედეგის დადასტურებისათვის საჭირო გარემო (A,B,C), განმეორებითი შეფასების პირობები, შეფასების ინსტრუმენტის ავტორი, შემფასებლისა და პროფესიული სტუდენტის ხელმოწერები.
5. ხარისხის მართვის მენეჯერი წარმოადგენს შიდა შემმოწმებელს (შიდა ვერიფიკატორს) და სწავლის შედეგების დადასტურებამდე მოდულის განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებელთან ერთად ამოწმებს შეფასების ინსტრუმენტს, თუ რამდენად თავსებადია მოდულით განსაზღვრულ შემდეგ მიმართულებასთან:
   ა) არის თუ არა პროფესიული სტუდენტისათვის გასაგებად აღწერილი დავალება;
   ბ) არის თუ არა შეფასებისათვის განსაზღვრული დრო საკმარისი;
   გ) არის თუ არა შეფასების ინსტრუმენტი ვალიდური, სანდო, მარტივი, მოქნილი და მიუკერძოებელი.
6. რეკომენდებულია განმეორებითი შეფასებისას პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ გამოყენებულ იქნას შეფასების ახალი ინსტრუმენტი.
7. მოდულის ყველა შედეგის დადასტურების შემდეგ დგება პროფესიული სტუდენტთა სწავლის შედეგების მიღწევების შეფასებასთან დაკავშირებით შექმნილი მუდმივმოქმედი კომისიის სხდომის ოქმი, რომელსაც ერთვის კოლეჯის დირექტორის მიერ დამოწმებული შეფასების უწყისი, ხოლო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებისას ხარისხის მართვის მენეჯერი ადგენს მოდულური პროგრამის შემაჯამებელ უწყისს, სადაც მითითებულია პროგრამით გათვალისწინებული მოდულების შეფასებები ყველა პროფესიულ სტუდენტზე.
8. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევა დასტურდება მატერიალური/ელექტრონული სახით - მტკიცებულებებით, რომელთა სახეობები განისაზღვრება შესაბამისი მოდულური პროგრამით/მოდულით.
9. შესრულების მტკიცებულება წარმოადგენს შესაფასებელი პირის მიერ სწავლის შედეგის მიღწევის მატერიალური ან ციფრული სახით არსებულ დადასტურებას. შესრულების მტკიცებულებების შეგროვებაზე პასუხისმგებლობა ეკისრება მოდულის განმახორციელებელ პირს და უნდა უზრუნველყოფდეს შესაფასებელი პირის იდენტიფიცირების საშუალებას. შეგროვების შემდეგ შესრულების მტკიცებულებები გადაეცემა ხარისხის მართვის მენეჯერს და ინახება პროფესიული სტუდენტის პორტფოლიოში, ხოლო შედეგების დამადასტურებელი დოკუმენტები (უწყისები) სწავლის შედეგების მიღწევის შესახებ გადაეცემა არქივს და ინახება მუდმივად.

მუხლი 4. კვალიფიკაციის მინიჭების წესი

1. მოდულური პროგრამის კონკრეტული საფეხურის/დონის პროფესიული სტუდენტების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ყველა მოდულის დადასტურების შემდეგ მათთვის შესაბამისი საფეხურის/დონის პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება ხდება კომისიური წესით, საკვალიფიკაციო კომისიის მიერ, რაც ფორმდება კომისიის სხდომის ოქმით და მტკიცდება კოლეჯის დირექტორის ბრძანებით.
2. მოდულური პროგრამების შემთხვევაში, სსსმ პროფესიული სტუდენტებისათვის კალენდარული გეგმისა და მოდულის გათვალისწინებით, მოდიფიცირებულ სასწავლო მასალას განსაზღვრავს და ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას ადგენს (შემდგომში - ისგ) პროფესიული განათლების მასწავლებელი ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტთან და ხარისხის მართვის მენეჯერთან შეთანხმებით. შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის მიზნით ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე.